ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2536067

ნომერი: AR1382066

თარიღი : 29.02.2016

გაცემის თარიღი : 12.04.2016

გაცნობის თარიღი : 12.04.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი II , კორპუსი 33 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილი ჩიქოვანი პ/ნ 58001013124
- ხობი ც.დადიანის ქ. N 114

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- დაშენება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საცხოვრებელი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მიხეილი ჩიქოვანი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

მოქ. მიხეილი ჩიქოვანის №AR1382066 ელექტრონული განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“-ს თანახმად, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე, რომელზედაც დოკუმენტურად დადასტურებული იქნება მზიდი კონსტრუქციების მდგრადობა, უნებართვოდ ან სხვა მიზეზის შედეგად ნაწილობრივ მიშენებული, დამთავრებული ან დაუმთავრებელი ლოჯიების ან სხვაგვარი მშენებლობის გამო დაკარგული აქვთ დასრულებული არქიტექტურული იერსახე, ნებადართულია ერთიანი პროექტის ფარგლებში ნაკლული ლოჯიების მიშენების ან სხვა სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება იერსახის აღდგენის მიზნით. გარდა ისეთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა, რომელთა სართულების სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 2.7 მ–ზე ნაკლებია, არ გააჩნიათ ლიფტი და რომელთა ექსპლუატაციის ვადა განსაზღვრული იყო მაქსიმუმ 50 წლამდე ვადით (ე.წ. „ხრუშოვკა“). წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სამსახურის ელექტრონულ ბაზაში აღნიშნულ ობიექტზე ფიქსირებული ელექტრონული განცხადებებიდან ირკვევა, რომ სარეკონსტრუქციო შენობა განეკუთვნება ზემოაღნიშნული მრავალბინიანი სახლების ტიპს (სართულების სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 2.7 მ–ზე ნაკლებია, არ გააჩნიათ ლიფტი), რაზეც გაცნობებთ, რომ მითითებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე დასაშვებია მიშენების/დაშენების დასრულება, თუ სამუშაოები ნაწარმოებია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტაციის საფუძველზე ერთიანი პროექტის ფარგლებში და ჩატარებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილია საცხოვრებელი/არასაცხოვრებელი ფართობი, ამასთან, მიშენების/დაშენების დასრულება არ უნდა აუარესებდეს შენობა-ნაგებობის კონსტრუქციულ მდგრადობას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.